



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY



განკარგულება:გ-135. 135242715

თარიღი:27/09/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის, I- პუნქტის, „გ.ა“ ქვეპუნქტის,, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-2 მუხლის, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ცნობად იქნას მიღებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიში წარმოდგენილი სახით თან ერთვის. (დანართი: 5 -ფრ.)
2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში შეფასდეს დადებითად.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12)

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

